მე-2 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული დავალება 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი - სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან ფინალურ ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია დათვლის, სურათის აღქმის, რიცხვების შედარების, მარტივი არითმეტიკისა და რიცხვთა მიმდევრობის თემატიკებზე.

● ვიზუალური აღქმა და დათვლა

- მოსწავლემ უნდა შეძლოს სურათზე მოცემული ფიგურებისა თუ საგნების ამოცნობა და საჭიროების შემთხვევაში მათი დათვლა.

მაგალითი:

რამდენი მარწყვია სურათზე?

A) 2 **B) 3** C) 4

● რიცხვების შეკრება, გამოკლება ან/და შედარება

- მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ნატურალურ რიცხვებზე მარტივი მოქმედებების ჩატარება და ზოგ შემთხვევაში მათი შედარება. მან უნდა ამოიცნოს ნაკლებობის, მეტობისა და ტოლობის სიმბოლოები (>, <, =), იმისთვის რომ შეარჩიოს სწორი პასუხი.

მაგალითი: ჩამოთვლილთაგან, რომელია სწორი?

A) 3+5=7 B) 8+4=11 **C) 5+5=10**

● რიცხვთა მიმდევრობა

- მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების მარტივ მიმდევრობებში რიცხვების ცვლილების ამოცნობა და ამაზე დაყრდნობით, ამ მიმდევრობის რომელიმე წევრის პოვნა:

მაგალითი: დააკვირდით მიმდევრობას და გამოიცანით მომდევნო რიცხვი: 4, 5, 6, 7…

A) 8 B) 7 C) 6

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია,** რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 3 ქულიანს. ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები აანალიზაუროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი ტესტები: https://kings.ge/student/login

მოსამზადებელ ტესტებს ოლიმპიადის I ტურის მსგავსი სტრუქტურა აქვს. I ტურის მსგავსად მოსწავლეს ეძლევა 1 საათი ტესტის საწერად და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და ოლიმპიადის I ტურზე გაითვალისწინოს/უკეთ მოემზადოს კონკრეტულ საკითხში.